



საინფორმაციო ჟურნალი
#თუსნავლაგინდა

2020



მიული ალასანია

**საქართველოს უნივერსიტეტის
პრეზიდენტი**



საქართველოს უნივერსიტეტი იმ გამოწვევების საპასუხოდ დაიბადა, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და წარმატებული ეკონომიკური განვითარების აუცილებლობამ დააყენა. უნივერსიტეტი ორიენტირებული იყო საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნის ახალი თაობებისათვის გადაცემაზე, ამასთანავე, შექმნილი რეალობის შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკისათვის ხელის შეწყობაზე.

ჩვენი მიზანია აღვზარდოთ ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები, ამასთანავე მოვამზადოთ პროფესიონალები, რომლებიც წარმატებას მიაღწევენ ნებისმიერ კონკურენტულ სივრცეში. ხარისხიან სწავლებასთან ერთად, გთავაზობთ მრავალმხრივ შესაძლებლობას აუცილებელს სტუდენტისათვის ამ საუკეთესო წლების აქტიურად გასატარებლად.

გილოცავთ საქართველოს უნივერსიტეტში შემოსვლას!

გილოცავთ თქვენი ცხოვრების ახალი ეტაპის - სტუდენტობის დაწყებას! ეს ის პერიოდია, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს თქვენს მომავალს. ამიტომ, აუცილებელია ეს წლები მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენოთ.

საქართველოს უნივერსიტეტი სწორედ ის ადგილია, სადაც ამაში დაგეხმარებიან. აქ თანამედროვე განათლებას მიიღებთ. თქვენ დაეუფლებით იმ ცოდნას და უნარებს, ჩამოგიყალიბდებათ ისეთი თვისებები, ღირებულებები და მიდგომები, რომელიც წარმატებისთვისაა აუცილებელი. იმის მიუხედავად, თუ რა მიმართულებით წარმართავთ საკუთარ ცხოვრებას, იქნება ეს მეცნიერება, მენეჯმენტური თუ საჯარო კარიერა, საკუთარი ბიზნესის შექმნა თუ სხვა საქმიანობა, სასურველი შედეგის მისაღწევად იყავით მაქსიმალისტი და პერფექციონისტი - არ დაკმაყოფილდეთ უკვე მიღწეულით, და რასაც აკეთებთ, ეცადეთ უზადოდ შეასრულოთ. გაითავისუფლეთ აზროვნება, რათა მეტი დაინახოთ. იყავით ორიგინალური, შემოქმედებითი და ინოვატორი. საქართველოს უნივერსიტეტში სწორედ თავისუფალ აზროვნებას შეეჩვევით. გისურვებთ წარმატებებს!



მანანა სანაძე

**საქართველოს უნივერსიტეტის
პრეზიდენტი**



გილოცავთ საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტობას! აქ მიღებული ცოდნა თქვენი წარმატებული კარიერის საწინდარია. გვჯერა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თქვენ წამყვან ადგილს დაიკავებთ ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ სამეცნიერო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გვიხარია, რომ თქვენ ჩვენი ქვეყნის მომავალი ლიდერები, დღეს სწორედ საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტები ხართ. გისურვებთ სწავლაში წარმატებას და მომავალში კარიერულ წინსვლას!

კონსტანტინე თოფურიძე

**საქართველოს უნივერსიტეტის
რექტორი**



1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. 15. 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 30. 31. 32. 33. 34. 35. 36. 37. 38. 39. 40. 41. 42. 43. 44. 45. 46. 47. 48. 49. 50. 51. 52. 53. 54. 55. 56. 57. 58. 59. 60. 61. 62. 63. 64. 65. 66. 67. 68. 69. 70. 71. 72. 73. 74. 75. 76. 77. 78. 79. 80. 81. 82. 83. 84. 85. 86. 87. 88. 89. 90. 91. 92. 93. 94. 95. 96. 97. 98. 99. 100. 101. 102. 103. 104. 105. 106. 107. 108. 109. 110. 111. 112. 113. 114. 115. 116. 117. 118. 119. 120. 121. 122.

-

რა არის სასწავლო პროგრამა?

სასწავლო პროგრამა არის სემესტრებისა და შესაბამისი პრერეკვიზიტების მიხედვით აწყობილი სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალი, რომელთა ჩაბარება აუცილებელია, რათა სტუდენტმა მიიღოს სათანადო კვალიფიკაცია. სასწავლო პროგრამაში შემავალი თითოეული საგანი მოიცავს კრედიტების გარკვეულ რაოდენობას. საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტისგან შედგება.

რა არის სილაბუსი?

სილაბუსი განსაზღვრავს საგნის სწავლების გეგმას, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ. სასწავლო კურსის დაწყებისას სტუდენტმა სილაბუსის მეშვეობით უნდა გაიგოს, თუ რა და რომელი ლიტერატურით უნდა ისწავლოს, როგორი შუალედური გამოკითხვისა და შეფასების ფორმა ექნება, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოს. სტუდენტებს აქვთ საკუთარი გვერდი MY UG, სადაც მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამის, სილაბუსების, გამოცდისა და სხვა საჭირო მახასიათებლების შესახებ.

რა არის პრაქტიკუმი?

რაიმე A საგნის პრერეკვიზიტი არის B საგანი, ან საგანთა ჯგუფი, რომელთა გავლაც აუცილებელია A საგანზე დასარეგისტრირებლად (მაგ: მათემატიკა II -ზე დასარეგისტრირებლად აუცილებელია გავლილი გქონდეთ მათემატიკა I).

არსებობს რამდენიმე სახის პრერეკვიზიტი:

- წინაპირობა - ის საგანი ან საგანთა ჯგუფი, რომელიც უკვე გავლილი უნდა ჰქონდეს სტუდენტს, რომ გარკვეულ საგანზე დარეგისტრირდეს;
- ალტერნატიული წინაპირობა - რამდენიმე საგანი, რომელთაგან რომელიმე მაინც გავლილი უნდა ჰქონდეს სტუდენტს, რომ გარკვეულ საგანზე დარეგისტრირდეს;
- თანაპირობა - საგანი ან საგანთა ჯგუფი, რომელიც უკვე გავლილი უნდა ჰქონდეს სტუდენტს, ან რომელზეც პარალელურად უნდა დარეგისტრირდეს, გარკვეულ საგანზე დარეგისტრირებისას;
- ალტერნატიული თანაპირობა - საგანთა ჯგუფი, რომლიდანაც ერთ-ერთ საგანზე სტუდენტი პარალელურად უნდა დარეგისტრირდეს, გარკვეულ საგანზე დარეგისტრირებისას;

სწავლის საფასურის გადხადის წესები

სტუდენტები სწავლის საფასურს იხდიან 10 ნაწილად. პირველი ნაწილის დაფარვა ხდება რეგისტრაციისას, შემდეგი კი ყოველი თვის 15 რიცხვის ჩათვლით (მაგ: 15 ოქტომბერი, 15 ნოემბერი და ა.შ. თუ თქვენი სწავლის საფასური 2250 ლარია თქვენი ყოველთვიური გადასახადი 250 ლარს შეადგენს). სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია შემდეგ ბანკებში: „თიბისი“, „ბაზისბანკი“ და „ქართუ“. ყოველი მომდევნო სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდას სტუდენტი იწყებს მიმდინარე წლის 15 ივლისიდან.

რა ხდება სწავლის საფასურის დროულად გადახდის შემთხვევაში?

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დროულად არ გადაიხდის სწავლის საფასურს, უნივერსიტეტი გონივრულ ვადაში გააფრთხილებს მას სტატუსის შეჩერების შესახებ. ყველა სტუდენტი წინასწარ იღებს ინფორმაციას “My UG”-ზე სწავლის საფასურის შესახებ. სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს ადმინისტრაციის სახელით მიღებულ შეტყობინებებს.

რა არის კრედიტი?

იმის მიხედვით, თუ რა დროა გათვალისწინებული საგნის შესასწავლად, საგნებს განსხვავებული კრედიტები ენიჭებათ. პროგრამაში, ძირითადად, შეგხვდებათ 6 კრედიტიანი საგნები. სემესტრის განმავლობაში სტუდენტები საშუალოდ 30 კრედიტს ანუ 5-6 საგანს სწავლობენ. სტუდენტს წლიურად შეუძლია დააგროვოს არაუმეტეს 75 კრედიტი. წლიურად 60 კრედიტზე მეტის დარეგისტრირების შემთხვევაში, სტუდენტი ფარავს დამატებითი კრედიტების საფასურს. საილუსტრაციოდ, თქვენი სასწავლო გეგმა სემესტრულად შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

| საგანი | კრედიტი |
|--|---------|
| აკადემიური წერა | 6 |
| საოფისო კომპიუტერული პროგრამები და ინტერნეტი | 6 |
| ეკონომიკისა და გიგანის საფუძვლები | 6 |
| მათემატიკა | 6 |
| ინგლისური ენა | 6 |
| კრედიტების ჯამი: | 30 |

რას ნიშნავს სავალდებულო და არჩევითი საგნები?

ყველა პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით საგნებს. არის საგნები, რომელთა გავლა აუცილებელია სასურველი პროფესიის მისაღებად, ზოგიერთ საგანში ჩაღრმავება კი სტუდენტის ნებაზეა დამოკიდებული და შესაბამისად, ასეთი საგნები არჩევითად არის პროგრამაში მოცემული. (მაგალითად: ეკონომიკის პროგრამის სტუდენტებისთვის შეიძლება სავალდებულო იყოს მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის და ა.შ. კურსები, ხოლო არჩევანის საშუალება მიეცეთ ისეთ კურსებს შორის, როგორიცაა: პოლიტიკა ან სამართალი).

როგორ ავირჩიოთ დამატებითი სპეციალობა?

სტუდენტს საშუალება აქვს შეთავაზებული ვარიანტებიდან აირჩიოს საკუთარი სპეციალიზაცია. არჩევითი საგნების საშუალებით გაიღრმავოს ცოდნა სასურველი მიმართულებით. სტუდენტს შეუძლია შეიძინოს ძირითადი (Major) და მეორადი (Minor) პროფესია. ძირითადი პროფესიის შესაძენად საჭიროა სათანადო პროგრამიდან 180 კრედიტის მოგროვება. დანარჩენ 60 კრედიტს სტუდენტი მეორადი სპეციალობიდან ივსებს. (მაგალითად, თუ სტუდენტი ეკონომიკის პროგრამიდან აირჩევს განსაზღვრულ 180 კრედიტს, ხოლო პოლიტიკის პროგრამიდან 60 კრედიტს, მას მიენიჭება ძირითადი კვალიფიკაცია ეკონომიკის მიმართულებით, ხოლო მეორადი სპეციალობა პოლიტიკის მიმართულებით).

რეგისტრაცია და სწავლის საფასური

ადმინისტრაციული რეგისტრაცია

სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს დადგენილ სარეგისტრაციო ვადებში სწავლის საფასურის გადახდას და მოთხოვნილი საბუთების წარდგენას, რომელიც რეგულირდება ბრძანებით და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია, სტუდენტს სტატუსი შეუჩეროს.

სტუდენტის სტატუსის აღდგენისთვის განცხადება მიიღება: განცხადების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი მოთხოვნაა სწავლის საფასურის გადახდა.

ა. შემოდგომის სემესტრიდან სწავლის გასაგრძელებლად - 20 მაისიდან 15 ივნისამდე.

ბ. გაზაფხულის სემესტრიდან სწავლის გასაგრძელებლად - 30 სექტემბრიდან 24 დეკემბრამდე.

აკადემიური რეგისტრაცია

აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კომპონენტების არჩევას სემესტრის განმავლობაში არანაკლებ 30 კრედიტის ოდენობით, გარდა დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისა და იმ შემთხვევისა როცა წინაპირობები არ იძლევა მეტ კრედიტზე დარეგისტრირების საშუალებას.

საბაკალავრო სწავლების პირველ სემესტრში სტუდენტის აკადემიურ რეგისტრაციას ახორციელებს უნივერსიტეტი. ყოველ მომდევნო სემესტრში სტუდენტი აკადემიურ რეგისტრაციას თავად ახდენს “My UG” - ის მეშვეობით. აკადემიური რეგისტრაციის პირობები დადგენილია საბაკალავრო სწავლების დებულებით.

სტუდენტს უფლება აქვს, სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში შეცვალოს არჩევანი ან აირჩიოს დამატებითი საგანი/საგნები.

რეგისტრაციისას სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ან არჩევითი საგნები, ძირითადი და დამატებითი სპეციალობები. განსაკუთრებულ შემთხვევებში, უნივერსიტეტი ითვებს უფლებას შეცვალოს სტუდენტის მიერ არჩეული საგნის დღე, დრო ან ლექტორი.

თუ სტუდენტი სასწავლო წლის განმავლობაში რეგისტრირდება 60-ზე მეტ კრედიტზე, დამატებითი კრედიტების დარეგისტრირების წინაპირობაა შესაბამისი კრედიტების ღირებულების გადახდა. კრედიტის ღირებულება ითვლება სწავლის წლიური საფასურის 60 - ზე ვაყოფით (მაგ: თუ სწავლის საფასური არის 2250, მაშინ $1 \text{ კრედიტი} = 2250/60$)

სასწავლო წელი

აკადემიური წელი მიმდინარეობს სექტემბრიდან ივლისის ჩათვლით.

უჩვეულო

საქართველოს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს მხოლოდ შემდეგ უქმე დღეებში:

- მარიამობას - 28 აგვისტოს;
- გიორგობას - 23 ნოემბერს;
- დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს;
- შობის და საახალწლო არდადეგებზე - 24 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით;
- სააღდგომო არდადეგებზე - აღდგომის წინა ოთხშაბათიდან მომდევნო კვირის სამშაბათის ჩათვლით;
- ზაფხული - ივლისი, აგვისტო.



გამოცდა მნიშვნელოვანი მოვლენაა სტუდენტის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მთელი სემესტრის განმავლობაში გექნებათ სხვადასხვა ტიპის შუალედური შეფასება, რომლის მთავარი მიზანია სტუდენტის მიერ ათვისებული მასალის შემოწმება.

უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების 100 ქულიანი სისტემა და სასწავლო კომპონენტი დაძლეულია 51 ქულის მიღების შემთხვევაში. საგანში სტუდენტის ცოდნის შეფასება მრავალჯერადად ხდება, რაც საშუალებას მოგვცემთ სემესტრის განმავლობაში გამოასწოროთ შედეგები, თუ თავიდან სასწავლო პროცესს სათანადოდ ვერ აუღეთ ალღო. თითოეულ საგანში თქვენ სხვადასხვა სახის შუალედური შეფასება გექნებათ და ამ შუალედურ შეფასებაში მიღებული ქულების შეჯამებით დადგინდება თქვენი საბოლოო შეფასება. სემესტრის განმავლობაში თქვენ იღებთ შუალედურ შეფასებებს, ხოლო სემესტრის ბოლოს გიტარდებათ დასკვნითი გამოცდა. სტუდენტი შუალედურ შეფასებებს სხვადასხვა ფორმატის გამოცდებში მიიღებს, თითოეულ ამ გამოცდას განსხვავებული მიზნები გააჩნია და სხვადასხვა უნარებს ამოწმებს.

შუალედური შეფასების ფორმატი

შუალედური შეფასების ფორმები და შეფასებები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით. შუალედური შეფასების ფორმები: ქვიზი, შუალედური გამოცდა, პრეზენტაცია და ა.შ.

ქვიზი - ზეპირი ან წერილობითი გამოკითხვა, უმეტესად ყოველკვირეული რომლის დროსაც მოწმდება განვლილი მასალის ცოდნა.

შუალედური გამოცდა - შუალედური გამოცდა არის წერითი /კომპიუტერული (გარდა სპეციფიკური საგნებისა, როგორიცაა კომპიუტერული პროგრამები, ინგლისური ენის ზეპირი და ლაბორატორიული ნაწილი, სამედიცინო საგნების მასალა და სხვა). შუალედური გამოცდა სემესტრის განმავლობაში შეიძლება ჩაგიტარდეთ რამოდენიმეჯერ. შუალედურ გამოცდაზე ხდება დასაწყისიდან შუალედურ გამოცდამდე ან შუალედურ გამოცდებს შორის განვლილი მასალის გამოკითხვა.

შუალედური გამოცდების მიზანია:

- სტუდენტის სტიმულირება, რათა მან სასწავლო მასალა თანმიმდევრულად შეისწავლოს და არა ერთბაშად, სემესტრის ბოლოს.
- შეამოწმოს სტუდენტის ფაქტობრივი ცოდნა მოცემული გამოცდის დროისთვის.

პრეზენტაცია - კურსის განმავლობაში ლექტორი შეარჩევს საპრეზენტაციო თემებს, რომლებსაც სტუდენტები my.ug.edu.ge-ზე აირჩევენ. შერჩეული თემატიკის ირგვლილ სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი პრეზენტაციას აკეთებს ლექტორისა და ჯგუფელების წინაშე. რეფერატი და მისი პრეზენტაცია ყველა სკოლაში განსხვავებული ქულით ფასდება. სტუდენტი აღნიშნულ კომპონენტში გათვალისწინებულ შეფასებას მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ მომზადებულ რეფერატს ატვირთავს ელ. ბაზაში და გააკეთებს პრეზენტაციას.

რეფერატის პრეზენტაციის მიზანია:

- სტუდენტს განუვითაროს კვლევის უნარ-ჩვევები ,
- სტუდენტს განუვითაროს ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები,
- სტუდენტს განუვითაროს პრეზენტაციის უნარ-ჩვევები.

შუალედური შეფასების ფორმა თითოეული სკოლის მიერ ინდივიდუალურად განისაზღვრება.

დასკვნითი შეფასება

დასკვნითი შეფასების ფორმა დასკვნითი გამოცდა.

დასკვნითი გამოცდა არის წერიტი /კომპიუტერული (გარდა სპეციფიკური საგნებისა, როგორიცაა კომპიუტერული პროგრამები და სხვა). ის გრძელდება 2 საათის განმავლობაში, იმართება სპეციალურ საგამოცდო დარბაზში და ფარავს მთელ განვლილ მასალას. დისტანციური გამოცდის შემთხვევაში, ასევე პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია განსხვავებული რეგულაციის არსებობა, რომელიც გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით. დასკვნით გამოცდას სტუდენტი ასრულებს შემდეგ მისამართზე: EXAM.UG.EDU.GE

იმისათვის, რომ სტუდენტს საგანი ჩაბარებულად ჩაეთვალოს, მან დასკვნით გამოცდაზე უნდა დააგროვოს ფინალური გამოცდის -50%

გამოცდის ადმინისტრირება

გამოცდების ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე “MY UG”-ის მეშვეობით სტუდენტს ეცნობება: გამოცდის თარიღი, დრო, აუდიტორია და მისთვის განკუთვნილი ადგილი.

სტუდენტის მიერ დამხმარე მასალის (მაგ: სახელმძღვანელო, კოდექსი) გამოყენების, ასევე ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა წინასწარ ეცნობება სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს.

გამოცდაზე დაშვების პირობები

სტუდენტის გამოცდაზე დაშვების პირობაა მითითებულ საგამოცდო დროს უნივერსიტეტში გამოცხადება, მაიდენტიფიცირებელი ბარათის წარმოდგენა და მისთვის განკუთვნილი ადგილის დაკავება.

დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

როგორ უნდა მოვიქცეთ საგამოცდო დარბაზში?

1. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას დაუშვებელია:

- საგამოცდო ნაშრომში სახელის, გვარის ან რაიმე სახის მინიშნება სტუდენტის პიროვნების ამოსაცნობად;
- საგამოცდო საკითხების გაცნობა საგამოცდო დროის დაწყებამდე;
- საუბარი ან სხვა სახის მინიშნება;
- ნებისმიერი დამხმარე საშუალების გამოყენება;
- ჩართული მობილურის და ან სხვა ელექტრონული მოწყობილობების ქონა;
- კომპიუტერული გამოცდის შემთხვევაში, UG სისტემის გარდა სხვა პროგრამის ან ინტერნეტის გამოყენება, გარდა დაშვებული საშუალებებისა;
- სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის პროცესის მიმდინარეობას.

2. პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებისას სტუდენტი იხსნება გამოცდიდან და ნაშრომი არ ფასდება. სტუდენტი კარგავს ამ გამოცდის აღდგენის უფლებას.

3. შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა აიწიოს ხელი და დამკვირვებლის მისვლის შემდგომ დასვას შეკითხვა.

4. გამოცდის მიმდინარეობისას ნებადართულია წყლისა და მედიკამენტების, ასევე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ გამოცდის საჭიროებებიდან გამომდინარე დაშვებული სხვა ნივთებისა თუ სასწავლო მასალის გამოყენება.

5. გამოცდაზე დამსწრე პირისადმი დაუმორჩილებლობა წარმოადგენს ღირსების კოდექსის დარღვევას და საკითხი გადაეცემა უნივერსიტეტის დისციპლინარულ კომისიას.

რა ზამთრისთვის სდგება გამოცდის აღდგენა?
როგორ გამოცდის აღდგენა შესაძლებელი?
როგორ აღვადგინოთ გამოცდა?

შუალედური შეფასების აღდგენა

თუ სტუდენტი საპატიო მიზეზით აცდენს საგანში შუალედურ შეფასებას, მას აღუდგება 1 საგანში მხოლოდ 1 შუალედური შეფასების ფორმა. შუალედური შეფასების ფორმის აღდგენა უფასოა. საპატიო მიზეზად მიიჩნევა:

- ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ახლობლის გარდაცვალება;
- სახელმწიფო სამსახურში გამოცხადების აუცილებლობა;
- საკუთარი ან ოჯახის წევრის ქორწილი;
- შვილის შეძენა;
- ეროვნულ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სამსახურებრივი მივლინება;
- სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ადმინისტრაციის მიერ მიიჩნევა საპატიოდ.

სტუდენტს უფლება აქვს შუალედური შეფასების აღდგენის შესახებ განცხადება დაწეროს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის / სკოლის დირექტორის სახელზე. მე-13 კვირას. განცხადებაში უნდა მიუთითოს კონკრეტულად რომელი შუალედური შეფასების ფორმის აღდგენას ითხოვს და თან დაურთოს საპატიო მიზეზით გაცდენის დამადასტურებელი ცნობა.

სტუდენტს საპატიო მიზეზით შუალედური შეფასების გაცდენის შემთხვევაში დაენიშნება შუალედური შეფასების აღდგენა მე-14 კვირას.

დასკვნითი გამოცდის აღდგენა

დასკვნითი გამოცდის აღდგენა ტარდება მხოლოდ ერთხელ გამოცდის აღდგენის კვირაში. დასკვნითი გამოცდის აღდგენის ვადა არ შეიძლება სცდებოდეს სასწავლო სემესტრის დასრულების ვადას. დასკვნით და შესაბამისი გამოცდის აღდგენას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა. აღდგენის ცხრილი სტუდენტებს ეცნობება “MY UG-ის” საგამოცდო ცხრილის მეშვეობით გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ ორი დღით ადრე.

ავადმყოფობის გამო დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი წერს განცხადებას “MY UG-ის” მეშვეობით შესაბამის შაბლონზე, არაუგვიანეს დასკვნითი გამოცდის მეორე დღისა, რომელსაც განიხილავს სამედიცინო და საღებავო სამსახური და ავადმყოფობის საპატიო მიზეზად ჩათვლის შემთხვევაში დაკმაყოფილებულ განცხადებას გადასცემს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს, განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გამოცდა აღდგენას არ ექვემდებარება.

სტუდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ავადმყოფობის ცნობა დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან 3 დღის ვადაში. ცნობაში მითითებული უნდა იყოს რომელ გამოცდამდე/გამოცდებზე ვერ შეძლო სტუდენტმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დასწრება.

დასკვნითი გამოცდის სხვა მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა „MY UG-ის“ მეშვეობით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების მომდევნო სამუშაო დღისა და გამოცდის აღდგენამდე წარმოადგინოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი. გამოცდის გაცდენის მიზეზის საპატიოდ ჩათვლის შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდას აღადგენს გადასახადის გადახდის გარეშე.

სტუდენტი, რომელიც გამოირჩევა მნიშვნელოვანი წარმატებებით საზოგადოებრივი საქმიანობის, სპორტის ან ხელოვნების სფეროში, კერძოდ, თუ სტუდენტი არის საქართველოს ან საერთაშორისო ტურნირების, საერთაშორისო კონკურსების, ფესტივალების გამარჯვებული, პრიზიორი, ლაურეატი და სხვა შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში სარგებლობს იმ გამოცდის უფასოდ აღდგენის უფლებით, რომლის გაცდენის მიზეზი შესაბამის ღონისძიებაში მონაწილეობაა. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს “MY UG-ს” მეშვეობით გამოცდამდე არანაკლებ ერთი სამუშაო დღით ადრე და განცხადებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის აღსადგენად სტუდენტი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს მიმართავს არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების მომდევნო ორი სამუშაო დღისა. განცხადებას უნდა დაერთოს გამოცდის აღდგენის საფასურის გადახდის ქვითარი.

თქვენ განმეორებით დაიხვეწით დასკვნით გამოცდაზე:

- სტუდენტმა გადალახა ფინალური გამოცდის მინიმალური ზღვარი, მაგრამ ვერ დააგროვა 51 ქულა, თუმცა დააგროვა ფინალურის ქულის ჩათვლით 41 ქულა და მეტი.
- სტუდენტმა ვერ გადალახა ფინალურის ზღვარი, თუმცა ფინალურის ქულის გარეშე დაგროვებული აქვს 41 ქულა და მეტი.

როგორ გავასაჩივრო გამოცდაზე მიღებული ნიშანი?

სტუდენტი უფლებამოსილია გაეცნოს ნაშრომს და გაასაჩივროს შუალედურ შეფასებაში მიღებული შედეგი UG სისტემაში ასახვიდან 2 დღის ვადაში. შუალედური შეფასების გასაჩივრების შესახებ განცხადება იწერება და დაკმაყოფილებაზე გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი

დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა სტუდენტი უფლებამოსილია "MY UG"-ის მეშვეობით განცხადებით მიმართოს მისი პროგრამის ხელმძღვანელს და გაასაჩივროს დასკვნითი გამოცდის შედეგი. სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს თუ რომელ საკითხს ან შეფასების რა ნაწილს აპროტესტებს. ზოგადი პროტესტი არ განიხილება. შეფასების გასაჩივრების დაკმაყოფილებაზე გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი. განცხადების მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს განცხადების განხილვასა და შედეგების ასახვას.

შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში მოქმედებს 100 ქულიანი (100%-იანი) შეფასების სისტემა. საგანი დაძლეულია 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში.

საგანში სტუდენტის შეფასებისას საბოლოო ქულა მრგვალდება მთელ რიცხვამდე. ხუთი მეათედი ან ხუთი მეასედი მრგვალდება მეტობით.

სტუდენტის პრეტენზია შეფასების არარსებობაზე მიიღება შედეგების ასახვის ვადის გასვლიდან 7კალანდარული დღის განმავლობაში.

რა არის GPA

GPA ჩაბარებული კრედიტების საშუალო არითმეტიკულის ჯამია.

გამოსაცდელი ვადა

თუ სტუდენტის შედეგების საშუალო 51-ზე ნაკლებია (ვისთვისაც უკანასკნელი აკადემიური წლის ჩათვლით გავლილი/ჩათვლილი კომპონენტების კრედიტების ჯამი აღემატება 60-ს), სტუდენტი ექცევა “განსაკუთრებულ რეჟიმში” და ეძლევა დამატებითი ერთი წელი შედეგების საშუალოს გასაუმჯობესებლად. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, შედეგების საშუალო ითვლება გავლილი კომპონენტების შესაბამისად, ხოლო სწავლის შედეგები მიუღწეველია, თუ შედეგების საშუალო 51-ზე ნაკლებია. სწავლის შედეგების მიუღწევლობა სტატუსის შეწყვეტის საფუძველია.

საქართველო სტიპენდია

თუ სტუდენტის შედეგების საშუალო კოეფიციენტი (GPA) არანაკლებ 3.75-ია (A ან A+), მას ეძლევა სტიპენდია. სტიპენდიის მიღების წინაპირობაა წლიური 60 კრედიტის დაგროვება და სტუდენტის სტატუსის შენარჩუნება. სტიპენდიის ოდენობა დგინდება შესაბამისი დარგის პრორექტორის ბრძანების საფუძველზე. უნივერსიტეტში სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტიპენდია გაიცემა სტატუსის აღდგენის შემდეგ; ხოლო დამამთავრებელი სემესტრის სტატუსის მქონე სტუდენტებს სტიპენდია ეძლევათ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების გამო სტატუსის შეწყვეტის შემდეგ.

სტუდენტური სტატუსის შეწყვეტა და შეჩერება

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- 1.თუ სტუდენტი არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას (არ გადაიხდის სწავლის საფასურს);
- 2.თუ სტუდენტი არ გაივლის აკადემიური რეგისტრაციას (არ აირჩევს საგნებს);
- 3.სტუდენტის პირადი განცხადება;
- 4.თუ სტუდენტი წაიღებს დოკუმენტაციას, რომელის ინახება მის პირად საქმეში და არ დააბრუნებს დადგენილ ვადაში
- 5.დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- 1.სტუდენტის სტატუსის 5 წელზე მეტი ხნით შეჩერება;
- 2.სწავლის შედეგების მიუღწევლობა;
- 3.შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- 4.პირადი განცხადება;
- 5.დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება;
- 6.სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა.

ლირსეზის კოდექსი

უნივერსიტეტში სწავლის შედეგების მიღწევის წინაპირობაა შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება, რომელიც მიიღწევა სტუდენტისადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ძალისხმევით.

ლირსეზის კოდექსის დარღვევად და დისციპლინული პასუხისმგებლობის განხორციელების საფუძვლებია:

1. უნივერსიტეტის დოკუმენტების ან ჩანაწერების გაყალბება;
2. შეფასების მიღების მცდელობა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, თაღლითობით თუ სხვა დაუშვებელი გზით;
3. სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული ან დამხმარე პერსონალის მიმართ ძალადობა, მუქარა ან უხეში შეურაცხყოფა;
4. ნარკოტიკული ნივთიერების და ალკოჰოლის მოხმარება-გავრცელება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;
5. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით, ასაფეთქებელი ან საშიში ნივთიერებებით გადაადგილება;
6. დისკრიმინაციული ქმედება ან სექსუალური ძალადობა;
7. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარება;
8. უნივერსიტეტის ქონების დაზიანება;
9. გამოცდის ჩატარებისათვის ხელის შეშლა და გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა;
10. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;
11. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ლატარიის, აზარტული ან მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობა და აღნიშნული თამაშობების ბილეთების გაყიდვა/გავრცელება.

დისციპლინური სანქციის სახეებია: 1. ზეპირი/წერილობითი გაფრთხილება; 2. არამართლზომიერად მიღებული შეფასების გაუქმება; 3. ფულადი ჯარიმა უნივერსიტეტის ქონების დაზიანების შემთხვევაში ან თამბაქოს მოხმარების შემთხვევაში; 4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება 1 სემესტრის ვადით; 5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობა სტუდენტს შეუძლია სტატუსის მოპოვებიდან საბაკალავრო პროგრამის დასრულებამდე.

ბიბლიოთეკით შეგიძლიათ ისარგებლოთ ყოველდღე 10:00 საათიდან – 21:00 საათამდე, შაბათს 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე და კვირას 10:00 საათიდან - 15:00 საათამდე. ბიბლიოთეკაში ინახება ყველა სახელმძღვანელო და სასწავლო ლიტერატურა, რაც სილაბუსში შეგხვდებათ. ასევე შეგიძლიათ ისარგებლოთ ელექტრონული ბიბლიოთეკით დაგამოიყენოთ Hein online, JSTOR.

ბიბლიოთეკაში შესვლისთანავე ბიბლიოთეკართან უნდა დატოვოთ პირადობის მოწმობა ან სტუდენტური ბარათი რის შემდეგაც შეგიძლიათ ისარგებლოთ ბიბლიოთეკის რესურსით.

აკრძალულია:

- ბიბლიოთეკიდან წიგნის/ჟურნალის თვითნებურად გატანა, ან მათი დაზიანება,
- მოწვევა, ხმაური, ტელეფონზე საუბარი და საკვების შეტანა.

რესურსის მოძიება და შეკვეთა

სტუდენტს შეუძლია “My UG-ის” საშუალებით ონლაინ შეუკვეთოს ბიბლიოთეკას მისთვის სასურველი სახელმძღვანელო ან სალექციო მასალის ქსეროასლი, რომლის მიღებაც შესაძლებელია შეკვეთიდან მეორე დღეს.

მიზნების მაღაზია

საქართველოს უნივერსიტეტის წიგნების მაღაზიაში შესაძლებელია ქართულ და უცხო ენაზე სასწავლო სახელმძღვანელოების შეძენა. მაღაზია თანამშრომლობს სხვადასხვა ქართულ თუ უცხოურ გამომცემლობასთან. ასევე, მაღაზიაში იყიდება საქართველოს უნივერსიტეტში არსებული სტამბის მიერ დაბეჭდილი, როგორც სასწავლო, ისე ზოგადი ლიტერატურის წიგნები. ჩვენ სტამბაში დაბეჭდილი წიგნების შეძენა შესაძლებელია პარტნიორ მაღაზიათა ქსელებში, როგორიცაა: ბიბლუსი, პარნასი და სხვა.

მაღაზია მუშაობს მთელი წლის განმავლობაში 11:00-დან 19:00 საათამდე.

სამედიცინო მომსახურება

სამედიცინო კაბინეტი თავის საქმიანობას ეწევა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. სტუდენტებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;
2. გამოცდების პერიოდში სტუდენტების ჯანმრთელობის მონიტორინგი, ჯანმრთელობის ცნობის ან წარდგენილი დოკუმენტის დადასტურება, რაც ითვალისწინებს სტუდენტთა ავადმყოფობის დადასტურებას და საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო კონსულტაციას.

სტუდენტური სისტემა “MY UG”

“My UG” - არის სტუდენტზე მორგებული ონლაინ პროგრამა, რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას მიიღოს ინფორმაცია თავისი აკადემიური მოსწრების, ცხრილების, რეგისტრაციების, გამოცდებისა და სტუდენტური აქტივობების შესახებ. სტუდენტს შეუძლია მართოს ინფორმაცია, დისტანციურად დაწეროს განცხადება და შეძლოს აკადემიური რეგისტრაცია მომდევნო სემესტრში მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან.

სისტემაში ჩაშენებულია სოციალური ქსელის ელემენტები, როგორიცაა მიმოწერა სტუდენტებთან, ლექტორებსა და თანამშრომლებს შორის. სტუდენტს აქვს საშუალება შეავსოს სხვადასხვა ონლაინ აპლიკაცია კონკურსებისა და პროექტების შესახებ, შექმნას საუნივერსიტეტო კლუბები და გააწევრიანოს მეგობრები აღნიშნული ონლაინ სისტემის საშუალებით. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ოფიციალური საკომუნიკაციო საშუალებაა “MY UG”.



მთავარი გვერდი

გვერდზე მოცემული ინფორმაცია სიახლეების შესახებ.



The University of Georgia

MY UG STUDENTS' ZONE

მთავარი ინფორმაცია მართვა ანგარიში

UG სიახლეები

პარტნიორი ორგანიზაციების აქტივობები
 საუნივერსიტეტო აქტივობები
 სტუდენტური კლუბების აქტივობები
 სტუდენტური თვითმმართველობის აქტივობები

საქართველოს უნივერსიტეტის სიახლეები

გვრდილი
 შეფასებები
 საგამოცდოების წახვა
 გამოცდები
 GPA კალკულატორი

ივნისი 2016

| ორშ | სამშ | ოთხ | ხ-თ | პარ | შაბ | კვ |
|---|--|---|--|--|--|--|
| 30
ახალგაზრდული ფორუმი 2016 | 31
პროფესორების კონფერენცია | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12
ტური იმერეთში |
| 13 | 14 | 15 | 16 | 17
Summer Fun 2016 | 18
გრანდიოზული წუწალობა Summer Fun 2016 | 19
ბოლინგი ს ჩემპიონატი - Summer Fun 2016 |
| 20
ბიბლიოთეკა ხალხთა დღი - Summer Fun 2016 | 21
Tekken 3-ის ჩემპიონატი - Summer Fun 2016 | 22
ჩვენები ლაგოდეხის ნაკრძალში - Summer Fun 2016 | 23
გასვლითი ტური მცხეთასთან ახლოს - Summer Fun 2016 | 24
Summer Fun 2016 - გაზიარება კადრი ფილმიდან | 25
Summer Fun 2016 - ჩვენები რაგბიში | 26
ტური ოკაცეს კანიონზე - კინზას ჩანჩქერი - Summer Fun 2016 |
| ნაყინის გამოწვევა - Summer fun 2016 | ნაყინის გამოწვევა - Summer fun 2016 | Dance central - Summer fun 2016 | სტუდენტური კონკურსი - Summer Fun 2016 | ორდელიანი ლაშქრობა რაგბიში | ვიზიტი სამხედრო ბაზაზე - Summer-Fun 2016 | ბაქოს ტური - Summer Fun 2016 |
| Pes 2016 - Summer Fun 2016 | | | | Bike water race - Summer fun 2016 | | |

CCS

სემესტრული ცხრილი


აღნიშნულ გვერდზე მოცემულია ინფორმაცია მიმდინარე სემესტრის საგნების ცხრილის შესახებ, რომელზეც დარეგისტრირებულია სტუდენტი.

The screenshot shows the 'MY UG STUDENTS' ZONE' interface of The University of Georgia. The page is in Georgian and displays a semester schedule table. On the left, there is a sidebar with a user profile placeholder and navigation links. The main content area features a table with columns for ID, Course Name, Day, Time, and Location. Below the table, there are links for 'ცხრილი' (Schedule), 'შეფასებები' (Grades), 'საკამოცდოების ნაზვა' (Exam Dates), 'გამოცდები' (Exams), and 'GPA კალკულატორი' (GPA Calculator). In the bottom right corner, there are icons for 'COS' and a document labeled '238'.

| ჯგუფი | საგანი | დღე | დრო | ოთახი |
|---------|--|-----------|-------|-----------------|
| 1700573 | სისხლის სამართალი (კურსი 1) | ორშაბათი | 09:00 | 318, IV კორპუსი |
| 1700394 | საოფისე კომპიუტერული პროგრამები | სამშაბათი | 11:30 | 325, IV კორპუსი |
| 1700573 | სისხლის სამართალი (კურსი 1) | ოთხშაბათი | 14:00 | 324, IV კორპუსი |
| 1701325 | საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი | ხუთშაბათი | 11:30 | 302, IV კორპუსი |
| 1700933 | ვალდებულებითი სამართალი | ხუთშაბათი | 09:00 | 705, IV კორპუსი |
| 1700933 | ვალდებულებითი სამართალი | პარასკევი | 09:00 | 710, IV კორპუსი |
| 1700751 | ქართული სამართლის ისტორია | შაბათი | 14:00 | 407, IV კორპუსი |
| 1700800 | საერთაშორისო სამართალი | შაბათი | 11:30 | 710, IV კორპუსი |


საგნების რეგისტრაცია

აღნიშნულ გვერდზე მოცემულია ინფორმაცია მიმდინარე სემესტრის საგნების რეგისტრაციის შესახებ, რომელზეც დარეგისტრირება შეუძლიათ სტუდენტებს.



შეტყობინებები

სტუდენტს აქვს საშუალება მისწეროს შეტყობინება ნებისმიერ სტუდენტს ან თანამშრომელს.



სტუდენტური სხოვრება

საქართველოს უნივერსიტეტი გამოირჩევა მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებით. ჩვენთან სტუდენტური აქტივობები თვითმმართველი სტუდენტური კლუბების მიერ წარიმართება. მათ კოორდინირებას უწევს სტუდენტურ საქმეთა ცენტრი. სხვადასხვა სტუდენტური ინიციატივა და პროექტი უნივერსიტეტის მიერ ფინანსდება, აღნიშნული სამსახურის მეშვეობით.

იმისათვის, რომ უნივერსიტეტში გატარებული წლები თქვენთვის უფრო საინტერესო და ხალისიანი გახადოს, შეძლოთ საკუთარი ინტერესებისა და ინიციატივების რეალიზაცია, იაქტიურად თქვენთვის საინტერესო მიმართულებით, გირჩევთ ჩაერთოთ სხვადასხვა სტუდენტურ აქტივობაში. ამისათვის შეგიძლიათ:

- გაწევრიანდეთ რომელიმე არსებულ კლუბში, გაიზიაროთ მათი შეხედულებები, წესები და ჩაერთოთ მათ საქმიანობაში;
- 4 თანამოაზრესთან ერთად, შექმნათ საკუთარი თვითმმართველი კლუბი, იყოთ მისი ხელმძღვანელი და დაგეგმოთ ყველა აქტივობა;
- კლუბის შექმნას, წევრობას და ფუნქციონირებას არეგულირებს შესაბამისი დებულება.

სტუდენტურ საქმეთა ცენტრი (სტუდენტური კლუბები)

დაფინანსების მისაღებად სტუდენტურ კლუბებს შეუძლიათ სტუდენტურ საქმეთა ცენტრში პროექტის შეტანა. პროექტების წარმოდგენა ხდება “My UG”-ის მეშვეობით, სპეციალური საპროექტო ფორმის შევსებით. წარმოდგენილ პროექტს სტუდენტურ საქმეთა ცენტრი (სტუდენტური ფონდი) გააცნობს უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს და წინასწარ დადგენილ ვადებში პროექტის წარმდგენი მიიღებს პასუხს.

სპორტი და განთავსება

უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს საუკეთესო სპორტული ინფრასტრუქტურა, შიდა და გარე სპორტული მოედნები, ფიტნეს დარბაზი (UG GYM). შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ:

- პროფესიონალურ სპორტულ გუნდებში - თუ ფიქრობთ რომ ხართ პროფესიონალი, სპორტის რომელიმე სახეობის მიმდევარი, მიმართეთ სპორტ სკოლას და გახდით უნივერსიტეტის ნაკრების წევრი. ასახელეთ თქვენი და უნივერსიტეტის სახელი.
- სპორტის მოყვარულთა კლუბებში - თუ გატაცებული ხართ სპორტის რომელიმე სახეობით და გსურთ თავისუფალი დრო დატვირთვით სპორტული აქტივობებით, შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ სპორტის კლუბი და დაგეგმოთ სპორტული ღონისძიებები.

დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი

საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლაზე დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ზრუნავს. ამ მიზნით, ცენტრი აკვირდება დასაქმების ბაზარზე არსებულ ტენდენციებს, თავს უყრის ინფორმაციას მიმდინარე ვაკანსიების შესახებ, თანამშრომლობს კერძო და საჯარო სექტორთან და უნივერსიტეტის კამპუსში პერიოდულად მასპინძლობს დასაქმების ფორუმს, რომელშიც მონაწილეობენ წამყვანი კომპანიების წარმომადგენლები.

გარდა ამისა, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მხარდაჭერით, სისტემატიურად ტარდება ტრენინგები, სტუდენტების დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით. სტუდენტები და კურსდამთავრებულები სარგებლობენ ინდივიდუალური კონსულტაციებით და იღებენ კარიერულ რჩევებს.



ინოვაციების ცენტრი - UG STARTUP FACTORY

საქართველოს უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრი დაინტერესებული სტუდენტებისათვის მრავალ შესაძლებლობას აერთიანებს.

ინოვაციების ცენტრში მაღალკვალიფიციური ექსპერტები ატარებენ სპეციალურ ტრენინგებს, რაც ეხმარება სტუდენტებს შექმნან ინოვაციური პროდუქტი და სერვისი, შემდგომ კი, მენტორების დახმარებით, შეძლონ სტარტაპების დახვეწა და ინვესტორების წინაშე წარდგენა.

პერსპექტიული პროექტების ლოკალურ და საერთაშორისო ბაზარზე გატანის მიზნით, UG Startup Factory აქტიურად თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ინკუბატორებთან და აქსელერატორებთან.

ბიზნესი-ინოვაციის ტრანსფერის ცენტრი

საქართველოს უნივერსიტეტის ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრის მიზანია საექსპერტო ცოდნისა და აღმოჩენების ბაზრისთვის შეთავაზება, აღნიშნული პროცესის მართვა და ხელშეწყობა.

ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრის ფუნქციებია:

- სტარტაპის კომერციული პერსპექტივის შეფასება; სტარტაპის დაპატენტების ხელშეწყობა და სტარტაპერების შესაბამის ინდუსტრიებთან დაკავშირება.
- პროტოტიპების შექმნის ხელშეწყობა - დაშვება ინფრასტრუქტურასთან.
- მეცნიერებისა და გამოგონებლებისათვის ბაზრის პერსპექტიული ტენდენციების შეთავაზება.
- კომერციული გუნდის შექმნის - სტარტაპების შექმნის ხელშეწყობა

სკოლის ღირეებორები



ანა ხურციძე

სამართლის სკოლის
ღირეებორი

a.khurtsidze@ug.edu.ge



ნათია კალაძე

სოციალურ მეცნიერებათა
სკოლის ღირეებორი

n.kaladze@ug.edu.ge



მაია ამაშუკელი

გიგანის და აღმინებრაციულ
მეცნიერებათა სკოლის
ღირეებორი

m.amashukeli@ug.edu.ge



თამარ ლობჯანიძე

ჯანმრთელობის მეცნიერებების
სკოლის ღირეებორი

t.lobjanidze@ug.edu.ge



თინათინ გუდუშაური

სალოვნებისა და ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა სკოლის
ღირეებორი

t.gudushauri@ug.edu.ge



კახაბარ თავზარაშვილი

მეცნიერებისა და
ბუნებულ მეცნიერების
სკოლის ღირეებორი

k.tavzarashvili@ug.edu.ge

უნივერსიტეტში არსებობს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება, საიდანაც სტუდენტს შეუძლია მიიღოს მისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია.


საკომუნიკაციო საშუალებები:

1. სტუდენტური ელექტრონული სისტემა MY UG (იხილეთ my.ug.edu.ge), სადაც თქვენ სისტემატიურად მოგივთ ინფორმაცია თქვენთვის აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მესიჯის სახით, სკოლის დირექტორისგან, სასწავლო ოფისისგან, საფინანსო სამსახურისგან და ა.შ.;
2. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.ug.edu.ge სისტემატიურად იტვირთება ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით, მათ შორის დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიები. ვებ-გვერდი საშუალებას აძლევს სტუდენტს ფლობდეს სრულფასოვან ინფორმაციას საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ;
3. ოფიციალურ ვებ-გვერდზე აგრეთვე ხელმისაწვდომია Online Chat, სადაც სამუშაო საათებში ოპერატორისგან ლაივ რეჟიმში იპოვით პასუხს ყველა კითხვაზე;
4. იგივე დანიშნულებით შეგიძლიათ ისარგებლოთ ქოლ ცენტრის სერვისით, ნომერზე 2 55 22 22
5. თვალი გვადევნეთ სოციალური ქსელების მეშვეობით;

Facebook (www.facebook.com/ug.edu.ge/)
Instagram (www.instagram.com/ug.edu.ge/)
Youtube (www.youtube.com/user/wwwugeduge)

6. IV კორპუსის პირველ სართულზე თქვენთვის ხელმისაწვდომია Front Desk Service, სადაც შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები პირადად გაგიწევენ დახმარებას;
7. IV კორპუსის I სართულზე განთავსებულია მორბენალი სტრიქონი და საინფორმაციო ეკრანი;
8. გარდა ამისა, საქართველოს უნივერსიტეტის ყველა სართულზე გამოფენილია საინფორმაციო დაფები, სადაც განთავსებულია ინფორმაცია, დაგეგმილი აკადემიური თუ სტუდენტური ღონისძიებების შესახებ.

გთხოვთ, თვალი გვადევნოთ აღნიშნული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას თქვენ ინფორმირებულობასთან დაკავშირებით.



წიგნის სანიშნო



#თუსწავიდე

WWW.UG.EDU.GE
WWW.MY.UG.EDU.GE



საქართველოს უნივერსიტეტი

📍 77, მ.კოსტავას ქუჩა, თბილისი 0171, საქართველო

🌐 www.ug.edu.ge

☎ 2 55 22 22

